

საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №835

2010 წლის 15 ოქტომბერი

ქ. თბილისი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახელმწიფო კონსოლიდირებული ფონდის შესაბამის ქვეანგარიშზე გადმოგზავნის, ვალუტის კონვერტაციასთან დაკავშირებული ხარჯების თავიდან აცილებისა და სისტემის დაფინანსების დინამიკის გაუმჯობესების მიზნით:

1. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების ხარჯვა განხორციელდეს ადგილებზე, დამტკიცებული გეგმების ფარგლებში.

2. იმ შემთხვევაში, თუ შემოსულობების მოცულობა აღემატება შესაბამისი საანგარიშო პერიოდების დამტკიცებულ გეგმებს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მითითების საფუძველზე, საკონსულო მოსაკრებლისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების თანხები მიიმართოს ბიუჯეტის სხვა მხარჯავი ერთეულების დასაფინანსებლად, ხოლო დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურებისათვის საფასურის თანხა ჩაირიცხოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ანგარიშზე.

საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 17 ივლისის ბრძანებულება №590 – ვებგვერდი, 17.07.2012წ.

3. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენლობებმა და საკონსულო დაწესებულებებმა მიღებული შემოსავლების შესახებ ინფორმაცია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარუდგინონ არა უგვიანეს ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 5 რიცხვამდე, ხოლო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ სახაზინო სამსახურს ინფორმაცია წარუდგინოს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 14 რიცხვამდე.

4. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურებისათვის საფასურის თანხის ჩარიცხვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ანგარიშზე განახორციელოს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 14 რიცხვამდე ლარობით, გადარიცხვის განხორციელების დღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის გათვალისწინებით.

საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 17 ივლისის ბრძანებულება №590 – ვებგვერდი, 17.07.2012წ.

5. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უზრუნველყოს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და

საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვა.

6. ეთხოვოს საქართველოს ეროვნულ ბანკს შესაბამისი საბანკო ოპერაციების განხორციელება.

7. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებულ საკონსულო მოსაკრებელთა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობათა აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის N82 ბრძანებულება.

8. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს 2010 წლის 15 ოქტომბრიდან.

მ. სააკაშვილი

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 17 ივლისის ბრძანებულება №590 – ვებგვერდი, 17.07.2012წ.